საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ბიულეტენი

კენჭისყრა - 24.04.2025
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს არჩილ კოჭლამაზაშვილის კანდიდატურა?
დიახ (circled) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის არჩილ კოჭლამაზაშვილის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 განკარგულებით (ცვლილება შევიდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 31 დეკემბრის №1/163 განკარგულებით) დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევი პროცედურა. აღნიშნულ პროცედურაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 5 თებერვლის №1/14 განკარგულებით კანდიდატად დარეგისტრირდა არჩილ კოჭლამაზაშვილი.

აღსანიშნავია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად, 2025 წლის 14 აპრილს შევადგინე პროცედურაში მონაწილე ყველა კანდიდატის, მათ შორის არჩილ კოჭლამაზაშვილის შეფასების დასაბუთება. აღნიშნული დასაბუთება დაეყრდნო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ორგანული კანონის 34[1] მუხლის საფუძველზე კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, არჩილ კოჭლამაზაშვილის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებს და საჯარო მოსმენას. ინფორმაციის ანალიზისა და შეჯერების შედეგად მივიჩნიე, რომ არჩილ კოჭლამაზაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ხოლო, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მაქსიმალური 100 ქულიდან შევაფასე - 90 ქულით, რაც ორგანული კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 90%-ს შეადგენს.

ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 11 წევრის მიერ განხორციელებული შეფასებების საფუძველზე კანდიდატის მიერ დაგროვებულ ქულათა ჯამმა შეადგინა - 985 ქულა, რაც მაქსიმალური ქულის 89,55% შეადგენს, ხოლო კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა მიიჩნიეს, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს. შესაბამისად, დაგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით, არჩილ კოჭლამაზაშვილმა დაიკავა პირველი პოზიცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 15 აპრილის №1/37 განკარგულებით უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად

საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადავიდა 1 კანდიდატი - არჩილ კოჭლამაზაშვილი.

ამრიგად, 2025 წლის 24 აპრილს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად პარლამეტისთვის წარსადგენად მხარი დავუჭირე არჩილ კოჭლამაზაშვილს, ვინაიდან, მიმაჩნია, რომ ცოდნის, კომპეტენციის, პროფესიული გამოცდილების, პროფესიული თვისებების, გამოვლენილი უნარ ჩვევებისა და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლების გათვალისწინებით, ღირსეულად შეასრულებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლისთვის დაკისრებულ რთულ და საპასუხისმგებლო საქმიანობას.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

24 აპრილი, 2025 წელი